ბერტრან რასელი

დასავლური ფილოსოფიის ისტორია

წიგნი პირველი

(ანტიკური ფილოსოფია)

ქართული თარგმანი ეკუთვნის დიმიტრი უჩანეიშვილს

გამომცემლობა iBooks
თბილისი / 2023

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით:
Bertrand Russell, History of Western Philosophy and its Connection with Political and Social Circumstances from the Earliest Times to the Present Day, George Allen and Unwin Ltd, 1946
First published 1946
by George Allen & Unwin Ltd, London
First published in Routledge Classics 2004
by Routledge
2 Park Square, Milton Park, Abingdon, Oxon OX14 4RN
711 Third Avenue, New York, NY 10017
Routledge is an imprint of the Taylor & Francis Group, an informa business
© 1996 The Bertrand Russell Peace Foundation Ltd
Typeset in Joanna by RefineCatch Ltd, Bungay, Suffolk
All rights reserved. No part of this book may be reprinted or reproduced or utilized in any form or by any electronic, mechanical, or other means, now known or hereafter invented, including photocopying and recording, or in any information storage or retrieval system, without permission in writing from the publishers.
Authorised translation from the English language edition published by Routledge, a member of the Taylor & Francis Group, copyright of The Bertrand Russell Peace Foundation

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის
ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი

EAST EUROPEAN UNIVERSITY
Varlam Cherkezishvili Centre for Interdisciplinary Studies

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
რედაქტორი: გიორგი თავაძე
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია

მეორე შესწორებული გამოცემა

გამომცემლობა „iBooks“ 2023

© გამომცემლობა „iBooks“

ISBN 978-9941-8-5934-2 (სამივე წიგნის)
ISBN 978-9941-8-5935-9 (პირველი წიგნის)

დიმიტრი უჩანეიშვილი არის ავტორი და მთარგმნელი, რომელიც ძირითადად ფილოსოფიური ტექსტების თარგმნით არის დაკავებული. მის მიერ ნათარგმნი ნაშრომების ავტორებს შორის არიან მ. მამარდაშვილი, დ. ჰიუმი, ჯ. ბერკლი, ლ. შესტოვი, ნ. ბერდიაევი, ჯ. რემსბერგი, ს. კირკეგორი და სხვები.

გიორგი თავაძე არის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი. მისი კვლევის სფეროებია: უმაღლესი განათლების ფილოსოფია, ინტერდისციპლინური პოსტკოლონიური კვლევები, სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფია, იდეების ისტორია, ფილოსოფიური გეოგრაფია.

სარჩევი

რედაქტორის წინასიტყვაობა 7
წინასიტყვაობა 9
შესავალი 12

წიგნი პირველი. ანტიკური ფილოსოფია

ნაწილი I. სოკრატემდელი ფილოსოფოსები 26
თავი I. ბერძნული ცივილიზაციის წარმოშობა 26
თავი II. მილეტის სკოლა 50
თავი III. პითაგორა 55
თავი IV. ჰერაკლიტე 65
თავი V. პარმენიდე 77
თავი VI. ემპედოკლე 83
თავი VII. ათენი კულტურასთან მიმართებით 88
თავი VIII. ანაქსაგორა 92
თავი IX. ატომისტები 95
თავი X. პროტაგორა 106

ნაწილი II. სოკრატე, პლატონი და არისტოტელე 114
თავი XI. სოკრატე 114
თავი XII. სპარტის გავლენა 128
თავი XIII. პლატონის შეხედულებათა წყაროები 140
თავი XIV. პლატონის უტოპია 144
თავი XV. იდეების თეორია 158
თავი XVI. უკვდავების პლატონისეული თეორია 173
თავი XVII. პლატონის კოსმოგონია 186
თავი XVIII. ცოდნა და აღქმა პლატონთან 193
თავი XIX. არისტოტელეს მეტაფიზიკა 205
თავი XX. არისტოტელეს ეთიკა 220
თავი XXI. არისტოტელეს პოლიტიკა 234
თავი XXII. არისტოტელეს ლოგიკა 247

თავი XXIII. არისტოტელეს ფიზიკა 255
თავი XXIV. ადრეული ბერძნული მათემატიკა და ასტრონომია 261

ნაწილი III. ანტიკური ფილოსოფია არისტოტელეს შემდეგ 272
თავი XXV. ელინისტური სამყარო 272
თავი XXVI. კინიკოსები და სკეპტიკოსები 284
თავი XXVII. ეპიკურელები 298
თავი XXVIII. სტოიციზმი 311
თავი XXIX. რომის იმპერიის მიმართება კულტურასთან 334
თავი XXX. პლოტინი 349

სახელთა საძიებელი 366

რედაქტორის წინასიტყვაობა

„ჭეშმარიტება მოკაშკაშე ქალღმერთია, მუდამ ბურუსით მოცული, მუდამ შორეული, რომელსაც ბოლომდე ვერასოდეს ჩასწვდები, მაგრამ რომელიც იმსახურებს მთელ იმ შემართებას, ადამიანურ სულს რომ გააჩნია“ – ეს სიტყვები ეკუთვნის XX საუკუნის გამორჩეულ ფილოსოფოსსა და საზოგადო მოღვაწეს, ბერტრან რასელს (1872-1970 წწ.), რომელმაც თავისი თითქმის საუკუნოვანი ცხოვრების განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფილოსოფიის, მათემატიკისა და ლოგიკის განვითარებაში. გარდა ამისა, რასელი იყო აქტიური პაციფისტი, რის გამოც პირველი მსოფლიო ომის დროს დიდი ბრიტანეთის მთავრობამ იგი გარკვეული პერიოდით დააპატიმრა კიდეც. რასელის საზოგადოებრივი აქტიურობა არც მისი ცხოვრების გვიანდელ წლებში განელებულა. 1955 წელს ალბერტ აინშტაინთან და მსოფლიოს სხვა წამყვან მეცნიერებთან ერთად მან გამოაქვეყნა ე.წ. „რასელ-აინშტაინის მანიფესტი“, რომელშიც ხელმომწერები მსოფლიოს პოლიტიკურ ლიდერებს ბირთვული იარაღიდან მომდინარე საფრთხეებს შეახსენებდნენ. ხუთი წლით ადრე, 1950 წელს, რასელმა მიიღო ნობელის პრემია ლიტერატურაში „თავისი მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი შრომებისთვის, რომლებშიც იგი მხარს უჭერს ჰუმანისტურ იდეალებსა და აზროვნების თავისუფლებას“.

ბერტრან რასელი 70-ზე მეტი წიგნისა და 2000-ზე მეტი(!) სტატიის ავტორი გახლდათ. მათ შორისაა: *Principia Mathematica* („მათემატიკის საფუძვლები“, სამ ტომად, 1910-1913 წწ., ალფრედ ნორთ უაიტჰედთან ერთად), „ფილოსოფიის პრობლემები“ (1912 წ.), „პოლიტიკური იდეალები“ (1917 წ.), „შესავალი მათემატიკურ ფილოსოფიაში“ (1919 წ.), „ბოლშევიზმის პრაქტიკა და თეორია“ (1920 წ.), „გამოკვლევა მნიშვნელობისა და ჭეშმარიტების შესახებ“ (1940 წ.), „დასავლური ფილოსოფიის ისტორია“ (1945 წ.), „ადამიანური ცოდნის მასშტაბი და საზღვრები“ (1948 წ.), „ძალაუფლება და ინდივიდი“ (1949 წ.), „აქვს თუ არა ადამიანს მომავალი?“ (1961 წ.) და სხვ.

„დასავლური ფილოსოფიის ისტორია“, რომლის პირველ ქართულ თარგმანსაც წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს, რასელის ერთ-ერთი

წინასიტყვაობა

მობოდიშებისა და განმარტების რამდენიმე სიტყვაა აუცილებელი, რათა ამ წიგნმა იმაზე მკაცრ კრიტიკას აარიდოს თავი, რასაც, რასაკვირველია, იმსახურებს.

მობოდიშება აუცილებელია სხვადასხვა სკოლის სპეციალისტებისა და ცალკეული ფილოსოფოსების წინაშე. შესაძლოა, მხოლოდ ლაიბნიცის გამოკლებით, თითოეული ფილოსოფოსი, რომელსაც მე განვიხილავ, სხვისთვის უკეთ იყოს ცნობილი, ვიდრე ჩემთვის. შესაბამისად, თუკი საერთოდ უნდა დაიწეროს წიგნი, რომელიც ფართო სფეროს მოიცავს, გარდაუვალია, რადგან ჩვენ უკვდავები არ ვართ, რომ მან, ვინც ასეთ წიგნს წერს, ნაკლები დრო უნდა დაუთმოს მის ნებისმიერ ნაწილს, ვიდრე ამას გააკეთებდა ადამიანი, რომელიც ცალკეულ ავტორს ან დროის ხანმოკლე შუალედს განიხილავს. ზოგიერთი, ვისი მეცნიერული სიმკაცრეც ურყევია, დაასკვნის, რომ წიგნი, რომელიც ფართო სფეროს მოიცავს, საერთოდ არ უნდა დაიწეროს ან, თუ დაიწერება, უნდა შედგებოდეს მრავალი ავტორის მიერ შექმნილი მონოგრაფიებისგან. თუმცა რაღაც იკარგება, როდესაც მრავალი ავტორი თანამშრომლობს. თუკი არსებობს ერთიანობა ისტორიის მსვლელობაში, თუკი არსებობს რაიმე შინაგანი კავშირი იმას შორის, რაც მანამდე იყო და რაც შემდეგ მოდის, ამის გადმოსაცემად აუცილებელია, რომ ადრეული და გვიანი პერიოდი სინთეზირებულ იქნეს ერთ გონებაში. რუსოს შემსწავლელს შესაძლოა სირთულე შეექმნას საკადრისის მიზღვისას იმ კავშირისთვის, რომელიც რუსოს ჰქონდა პლატონის სპარტასთან ან პლუტარქესთან; სპარტელ ისტორიკოსს ვერ ექნებოდა წინასწარმეტყველური ცოდნა ჰობსის, ფიხტეს ან ლენინის შესახებ. ასეთი კავშირების გამოვლენა ამ წიგნის ერთ-ერთი მიზანია, ეს კი ისეთი მიზანია, რომლის მიღწევა მხოლოდ ყოვლისმომცველი მიმოხილვით არის შესაძლებელი.

არსებობს ფილოსოფიის მრავალი ისტორია, მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არცერთი ისახავს მიზნად იმას, რაც მე მაქვს ჩემ-

შესავალი

ცხოვრებისა და სამყაროს კონცეფციები, რომლებსაც ჩვენ „ფილოსოფიურს“ ვუწოდებთ, ორი ფაქტორის შედეგია: ერთია თანდაყოლილი რელიგიური და ეთიკური კონცეფციები; მეორეა კვლევის სახეობა, რომელსაც შესაძლოა „მეცნიერული“ ეწოდოს, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. ცალკეული ფილოსოფოსები საგრძნობლად განსხვავდებოდნენ იმ თანაფარდობის მიხედვით, რომლითაც ეს ორი ფაქტორი მათი სისტემის ნაწილი იყო, მაგრამ ფილოსოფიას გარკვეული ხარისხით ორივე მათგანი ახასიათებს.

სიტყვა „ფილოსოფია“ მრავალი მნიშვნელობით გამოიყენებოდა, ზოგი მას ფართოდ იყენებდა, ზოგი – ვიწროდ. მე გთავაზობთ მის გამოყენებას უკიდურესად ფართო მნიშვნელობით, რის განმარტებას ახლა შევეცდები.

ფილოსოფია, როგორც მე მესმის ეს სიტყვა, რაღაც საშუალოა თეოლოგიასა და მეცნიერებას შორის. თეოლოგიის მსგავსად, ის შედგება სპეკულაციებისგან საგნებზე, რომელთა შესახებ ზუსტი ცოდნა დადასტურებული სახით არ გვაქვს; მაგრამ მეცნიერების მსგავსად, ის ადამიანის გონებას მიმართავს და არა ავტორიტეტს, იქნება ის ტრადიციისა თუ გამოცხადების ავტორიტეტი. მთელი ზუსტი ცოდნა, ჩემი აზრით, მეცნიერებას ეკუთვნის; ყველა დოგმა, რომელიც სცდება ზუსტი ცოდნის საზღვრებს, ეკუთვნის თეოლოგიას. მაგრამ თეოლოგიასა და მეცნიერებას შორის „არავისი მიწაა“, რომელიც მოწყვლადია თავდასხმებისთვის ორივე მხრიდან და ეს „არავისი მიწა“ არის ფილოსოფია. სპეკულაციური გონებისთვის ყველაზე საინტერესო თითქმის ყველა კითხვა ისეთია, რომ მეცნიერება მათ ვერ პასუხობს, ხოლო თეოლოგთა დამაჯერებელი პასუხები ისეთი დამაჯერებლობით აღარ გამოირჩევა, როგორც ეს გასულ საუკუნეებში იყო. შედგება თუ არა სამყარო გონებისა და მატერიისგან, ხოლო, თუ ასეა, რა არის გონება და რა არის მატერია? ექვემდებარება თუ არა გონება მატერიას, თუ მას დამოუკიდებელი ძალები ფლობს? გააჩნია თუ არა სამყაროს რაიმე ერთიანობა ან მიზანი? ვი-

თარდება თუ არა ის რაიმე მიზნისკენ? მართლაც არსებობს თუ არა ბუ-ნების კანონები, თუ ჩვენ მხოლოდ წესრიგის თანდაყოლილი სიყვარუ-ლის გამო გვწამს მათი? ადამიანი ისეთია, როგორსაც მას ასტრონომი ხედავს: არაწმინდა ნახშირბადისა და წყლის ერთი ციცქნა გროვა, რო-მელიც მცირე და მნიშვნელობის არმქონე პლანეტაზე დაღოღავს? თუ იგი ისაა, რადაც ის ჰამლეტს წარმოუდგება? ან იქნებ ორივეა ერთად? არსებობს თუ არა ცხოვრების კეთილშობილური და მდაბალი წესი, თუ ყოველივე ამაოა? თუკი არსებობს კეთილშობილური ცხოვრების წესი, რაში მდგომარეობს ის და როგორ უნდა მივაღწიოთ მას? უნდა იყოს თუ არა სიკეთე მარადიული, რომ ის შეფასებას იმსახურებდეს, თუ მაინც ღირს მისი ძიება, თუნდაც სამყარო აუცილებლობით მიემართებოდეს დაღუპვისკენ? არსებობს თუ არა ისეთი რამ, როგორიც სიბრძნეა, თუ რაც ასეთად გვეჩვენება, უკიდურესად დახვეწილი უგუნურებაა? ასეთ კითხვებზე პასუხი ლაბორატორიებში არ მოიპოვება. თეოლოგიური სისტემები აცხადებდა, რომ შეეძლო განსაზღვრული პასუხების გაცემა, მაგრამ სწორედ მათი განსაზღვრულობა აიძულებს თანამედროვე გო-ნებას, ეჭვის თვალით შეხედოს მათ. ამ კითხვების შესწავლა, და სულაც მათზე პასუხების გაცემა, ფილოსოფიის საქმეს წარმოადგენს.

თქვენ შესაძლოა იკითხოთ: რატომ უნდა დავხარჯოთ დრო ასეთ გა-დაუჭრელ პრობლემებზე? ამ კითხვაზე პასუხი შესაძლებელია როგორც ისტორიკოსის თვალსაზრისით, ისე ადამიანისა, რომელიც კოსმოსური მარტოობის საშინელების წინაშე დგას.

ისტორიკოსის პასუხი, რამდენადაც მე შემწევს პასუხის გაცემა, ამ ნაშრომში გამოჩნდება. მას შემდეგ, რაც ადამიანს თავისუფალი გონე-ბაჭვრეტის შესაძლებლობა მიეცა, მისი ქმედებები, ურიცხვი მნიშვნე-ლოვანი მიმართებით, დამოკიდებულია მის თეორიებზე სამყაროსა და ადამიანთა ცხოვრების, სიკეთისა და ბოროტების შესახებ. ეს ისევეა ჭეშ-მარიტი დღევანდელ დღეს, როგორც წარსულში. ეპოქის ან ერის გასა-გებად ჩვენ მისი ფილოსოფია უნდა გავიგოთ, ხოლო მისი ფილოსოფიის გასაგებად ჩვენ თვითონ უნდა ვიყოთ გარკვეული ხარისხით ფილოსო-ფოსები. აქ სახეზე გვაქვს ორმხრივი განპირობებულობა: ადამიანთა ცხოვრების გარემოებები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მათ ფი-ლოსოფიას და პირიქით, მათი ფილოსოფია მნიშვნელოვანწილად გან-საზღვრავს მათ გარემოებებს. საუკუნეთა განმავლობაში არსებული ეს ურთიერთქმედება მომდევნო გვერდების მთავარი საგანი იქნება.

თუმცა, რასაკვირველია, არის უფრო პირადი პასუხიც. მეცნიერება გვეუბნება, თუ რა შეგვიძლია ვიცოდეთ; მაგრამ ის, რაც შეგვიძლია ვი-